ქართული აზრი

№ 33 ნიუ-იორკი. ივლისი, 1959 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, JULY 1959

> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.
>
> **აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

ნიუ-იორკი. ივლისი, 1959 წ.

ბოლშევიკური ზნისა და ბუნების მცოდნე საზოგადოებისათვის თავიდანვე ნათელი იყო და არის, რომ ჟენევის კონფერენცია ისევე უშედეგოთ უნდა დასრულდეს, როგორც ყველა მისი წინამდებარე ცდები. ბოლშევიზმის თვისებას ვერ შეარყევს და ვერ გამოსცვლის ვერავითარი დიპლომატიური „პროტოკოლი“ რადგან კრემლის დიპლომატიიდან თავიდანვე იყო გამორიცხული შეთანხმება და შეთანხმების პატიოსნური განაღდება.

მაგრამ ჟენევის კონფერენციამ მაინც ერთგვარი სინათლე შეიტანა ბნელით მოცულ დასავლეთის მიამიტ ადამიანთა აზროვნებაში, რადგან, როგორც დასავლეთმა, ისე აღმოსავლეთ ბლოკმა თავისი ქისა გადმოაბრუნა და მისი შემადგენლობა ქვეყნიერებას დაანახვა.

საბჭოთა ბლოკის პოზიცია ჯერ ვარშავის კონფერენციაზე გაირჩა და შემდეგ ხრუშჩოვმა ამცნო მსოფლიო საზოგადოებას, არც დასავლეთი შეხვდა მას მოუმზადებელი. „სამი დიდის“ მინისტრები პარიზში შეიყარნენ, იქ განიხილეს მოსალოდნელ, თუ მოულოდნელი დაბრკოლებები და მისი საბოლოო პოზიცია შ. შტატების მინისტრმა საქვეყნოდ გამოაცხადა.

ვარშავის ბლოკის ქვეყნებმა, რომელიც მხარდაჭერილი და განმტკიცებულია კომუნისტური ჩინეთისაგან, დაიმუშავეს სამ მუხლიანი პოზიცია: 1. დასავლეთ ბერლინის თავისუფალ ქალაქად გამოცხადება და იქიდან დასავლეთელების განდევნა. 2. საზაო ხელშეკრულების დადება ორივე გერმანიასთან ცალ ცალკე და 3. გერმანიის გაერთიანების და ევროპიული თავდაცვის საკითხის გამოყოფა და მხოლოდ ბერლინის საკითხის გადაწყვეტა.

ვარშავის კონფერენციის შემდეგ ხრუშჩოვმა მიიღო აღ. გერმანიის სოციალისტური გაზეთების კორესპონდენტები და ამ სამ მუხლზე განმარტება მისცა. მან განაცხადა: ჩვენ ვცდილობთ დავამყაროთ მშვიდობიანობა. თუ ჩვენი ყოფილი მოკავშირეები არ გამოგვყვებიან, მაშინ ჩვენ სეპარატიულ ზავს შევკრავთ აღ. გერმანიასთან. რის შემდეგაც დასავლეთს დაეკარგება დას. ბერლინში ყოველგვარი უფლება და თავისი ჯარი იქიდან უნდა გაიყვანოსო.

ხრუშჩოვმა ეს მოსაზრება მრავალჯერ გამოსთქვა, მრავალჯერ უარყო და მას კვლავ დაუბრუნდა. მისი თეზაა: „მე შეუთანხმდები პანკოვის რესპუბლიკას და ამით დასავლეთელები დაჰკარგავენ თავის უფლებას დას. ბერლინში და უნდა დასტოვონ იგი.“ ხომ შეიძლება ამავე ლოღიკით დასავლეთელებმა უპასუხონ: „ჩვენ შეუთანხმდით ბონს. ამით საბჭოეთს ეკარგება ყოველგვარი უფლება და უნდა წავიდეს აღ. გერმანიიდან“. ვის შეუძლიან სთქვას, რომ პირველის მოთხოვნილება სამართლიანი და ლოღიკურია და მეორესი უსამართლო და ულოღიკო. მით უმეტეს, რომ დასავლეთის მოთხოვნილება არამც თუ შეიცავს შეთანხმების და მშვიდობიანობის სურვილს, არამედ უაღრესად ჰუმანური და მაღალ დემოკრატიული იდეების გამომსახველია.

დასავლეთმაც, ჰერტერის პირით, რუსეთის სამ მუხლიან პოზიციას სამი მუხლით უპასუხა: 1. ყოველგვარი საფასურის გარეშე გერმანიის გაერთიანება. 2. თავდაცვის გარანტია და შეიარაღების კონტროლი. და 3. ბერლინის თავისუფლების გარანტია, მოკავშირეთა უფლება მოვალეობის შეუმცირებლად, ვიდრე ბერლინი არ გახდება გაერთიანებული გერმანიის დედა ქალაქი.

მაშასადამე ვარშავის პაქტის პირველ მუხლს უპასუხებს დასავლეთელების მესამე. ვარშავის პირველი მუხლი ამბობს დას. ბერლინი თავისუფალი ქალაქია და დასვლეთელებო წადითო. ჰერტერის მესამე მუხლით კი ბერლინის თავისუფლების გარანტია (მხედველობაშია მთელი ქალაქი) მოკავშირეთა უფლება მოვალეობის შეუმცირებლად, ვიდრე არ გადიქცევა გაერთიანებული გერმანიის დედა ქალაქად. ფორმულა მეტად ცხადი და ნათელია: დასავლეთის შეიარაღებული ძალა, რომელიც ამ ჟამად დას. ბერლინში იმყოფება, რჩება ადგილზე და მას გაიყვანენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა გერმანია გაერთიანებული იქნება და ბერლინი მისი დედა ქალაქი.

ვარშავის მეორე მუხლს ცალ ცალკე შეთანხმება ორივე გერმანიასთან, უპასუხებს ჰერტერის მესამე მუხლი—გაერთიანება.

ვარშავის მესამე მუხლი კი უარყოფს ჰერტერის ყველა მოსაზრებებს. ვარშავა თხოულობს,რომ განაცალკევონ ბერლინიდან გერმანიის გაერთიანების და ევროპიული თავდაცვის საკითხები, რაც მხოლოდ ბერლინის საკითხის გადაწყვეტას ნიშნავს. ჰერტერი კი მოითხოვს სამივეს ერთად. ეს დაპირდაპირება საჭიროა გაირჩეს, როგორც იურიდიული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისიდ.

სრულიად მხედველობიდან, რომ გაუშვათ ომის და მისი დასრულების პირველ ხანებში გამარჯვებულთა კოალიციის შეთანხმება, სადაცზედმიწევნითი სიზუსტით არის გათვალისწინებული ოთხ დიდის უფლება მოვალეობანი, საკმარისია გავიხსენოთ ჟენევის კონფერენცია, სადაც ხელახლა განხილული და დადგენილ იქმნა ოთხ დიდი სახელმწიფოების მიერ 1955 წ. ივლისში ბერლინის რეგლამენტი. ამისდა მიხედვით საბჭოთა კავშირის ეს ახალი პრეტენზიები აფსოლუტურად გაუმართლებელიდა ყოველგვარ უფლებრივობას მოკლებულია, რადგან იმ დროს უკვე თვით ხრუშჩოვი მონაწილეობდა და მისი ნებაყოფლობით მოხდა ბერლინის უფლება მოვალეობის დადგინება. იმ დროს გადაწყდა, რომ „გერმანიის გაერთიანება უნდა მოხდეს თავისუფალი არჩევნებით გერმანელი ხალხის და ევროპიული დაცვის ინტერესების დაზღვევით“ და მის გაერთიანებამდე მოკავშირეების შეიარაღებული ძალა რჩებოდა გერმანიაში თავ თავის სექტორში, ერთი მეორესგან დამოუკიდებლად. ეს ისე ერთ სულოვნად იყო მიღებული, რომ უფრო გვიან როდესაც მოლოტოვმა გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე კვლავ მოინდომა ამ საკითხის დაყენება, დალესმა მტკიცედ უპასუხა: „არაფერია საკამათო რადგან ეს სახელმწიფოს მეთაურებმა დაადგინესო“, რის შემდეგ მოლოტოვს ის ღა დარჩა ეთქვა: ჩემის აზრით თავდაცვის საკითხი უფრო ადრე მოსაგვარებელია, ვიდრე გერმანიის გაერთიანებაო. მაშასადამე, იმ დროს საბჭოთა კავშირი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა თავდაცვის საკითხს და პირველ რიგში მოსაგვარებელ საკითხად მიაჩნდა, ეხლა კი იმავე საბჭოთა კავშირს სრულებით აღარა სურს იმსჯელოს ევროპიულ თავდაცვაზე და პირველ რიგში მოსაგვარებელ საკითხად ბერლინსა სთვლის. ხრუშჩოვი თავის ამგვარ წაჯექ უკუჯექობას ეძახის სამართლიანობას და მშვიდობიანობისათვის ბრძოლას.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ხრუშჩოვი ხაზგასმით ლაპარაკობს მშვიდობიანობაზე და არასოდეს არ ახსენებს თავისუფლებას, ერთა დამოუკიდებელ არსებობას და სუვერენობის უფლებას, მაშინ როდესაც დასავლეთის პირველი და უკანასკნელი საკითხი ერებისა და პიროვნების თავისუფლებაა. აქედან წარმომდინარეობს პრინციპების დაპირდაპირების ის იდუმალი ბრძოლა, რომელსაც ვერავითარი შეთანხმება დაკონფერენცია ვერ უშველის და ატმოსფერო იქამდე იქნება დაძაბული და თოფის წამლის სუნით გაჟღენთილი, ვიდრე ამ იდუმალ ბრძოლაში ერთი პრინციპი მეორეს არ შთანთქავს.

პოლიტიკური თვალსაზრისით კი მთავარია თუ დასავლეთი რამდენად გაერთიანებულია ამ პოზიციაზე და რამდენად მომზადებულია, რომ მან მოსკოვის დაწოლას გაუძლოს. მათი ერთობა არ დაირღვას და არავითარ დათმობაზე არ წავიდეს.

ამ მოვლენაში ინგლისი აყვა დასავლეთს, მაგრამ განსაზღვრულ პირობებში და დიდი რეზერვებით, ე. ი. ინგლისისათვის დამახასიათებელი დიპლომატიური თამაშით. ის მტკიცედ განიცდის მეორე მსოფლიო ომის მიერ დასერილ იარებს და ამავე დროს (რუსეთის მსგავსად) დაავიწყდა, რომ გამარჯვებულის სკამზე ამერიკის სამხედრო და ეკონომიურმა ძლიერებამ დასვა და მისტირის დაკარგულ ჰეგემონიას, რომლის აღდგენას ამერიკასთან იდუმალი ქიშპობით და ორთა შუა თამაშით ლამობს.

დე გოლის საფრანგეთი მტკიცედ დადგა დასავლეთელების პოზიციაზე და ამით გულწრფელი მეგობრობა გაუწია გერმანელ ხალხს, რაც მომავლისათვის საფუძვლათ დაედება ფრანგ-გერმანელ ერების მეგობრობას და ბოლო მოეღება მათ საუკუნოებრივ მტრობას.

ყველა შემთხვევაში, გადამწყვეტ მომენტში ინგლისი იძულებული იქნება დასავლეთელების პოზიცია დაიცვას და როცა თამაში გათავდება, დარტყმის დროს, ამ რიგებში ჩადგეს და ურეზერვოდ დაიცვას. ამას უკარნახებს მას მისი ეროვნული ინტერესები და ის ამას ვერ გაექცევა.

მაშასადამე საბოლოო ანგარიშში დასავლეთის კოალიცია დაურღვეველი რჩება და მისგან ბოლშევიზმთან სერიოზული დათმობის მოლოდინიც წარმოუდგენელია. ამ დაპირდაპირებაში და დაუთმობლობაში უფრო მწვავედ წამოიჭრება ხალხთა თავისუფლების საკითხი და დღევანდელმა იდუმალმა ბრძოლამ უნდა მიიღოს ახდილი დაჯახების ხასიათი. ამ შემთხვევაში კაცობრიობის წინაშე დადგება საკითხი: ან უხსოვარი დროისათვის აღთქმული ამ ქვეყნიური სამოთხე და მომავლის ოცნებებში ბოლშევიკური მონობა და სილატაკე, ან ერების და პიროვნების თავისუფლება და კერძო ინიციატივაზე დაშენებული მეურნეობის წარმატებითი ნაყოფით სარგებლობა.

ჩვენ გვწამს, რომ გამარჯვება სწორედ ამ უკანასკნელს უნდა დარჩეს, რადგან ყოველი ადამიანი და ერი გულის სიღრმეში ატარებს თავისუფლებისადმი ტრფიალს. ამ პრინციპთა დაპირდაპირებაში თავისუფლების პრინციპი შთანთქავს ბოლშევიკურ მონობის და საპროპაგანდოთ მოგონილ „მშვიდობიანობის“ პრინციპს და მსოფლიოში გაბატონდება ერისადა პიროვნების თავისუფლების პრინციპი და აქედან გამომდინარე მშვიდობიანობა.

დათვის და ვეშაპის ბრძოლა.

ჟენევის კონფერენცია უფრო ხანგრძლივი გამოდგა, ვიდრე ზოგიერთებს ეგონათ. შეთანხმება, კომპრომისი საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკიდან გამორიცხულია. ხრუშჩოვი, ხან მუქარით, ხან ტკბილი საუბრით, კომუნიზმის და კაპიტალიზმის თანაარსებობაზე ან კიდევ მომხიბლავი სხვა და სხვა დაპირებით ცდილობს მოკავშირეების გათიშვას და მათი ძალების დასუსტებას. პირიქიდ, იგი თვით მოელოდა დასავლეთისაგან დათმობებს ბერლინის საკითხის გარშემო და ამით აღმოსავლეთ ევროპაში ახლანდელ სტატუს-კვოს შენარჩუნებას, რაც მისი მთავარი მიზანია. რასაკვირველია მომავლისათვის ამას თან უნდა მოჰყვეს თავისუფალ ბერლინის შთანთქმა. ყველასათვის აშკარაა, რომ საბჭოთა კავშირი ვერ ურიგდება გალატაკებულ აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტურ უდაბნოს შუა გულში, თავისუფალ ბერლინს, ამ მდიდარ და აყვავებულ ოაზისის არსებობას. ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რათა დაამხოს და მოსპოს ეს თავისუფლების ოაზისი და მასაც რკინის ფარდა ჩამოაფაროს.

ისე, გერმანიის გაერთიანება, რაც აუცილებელი პირობაა საერთო მშვიდობიანობისათვის, ხრუშჩოვის ანგარიშში არ შედის. იცის რომ გერმანიის გაერთიანება თავისუფალ დემოკრატიული არჩევნებით, ეს იქნება აღ. გერმანიის უეჭველი დაკარგვა, ამასთანავე სოციალისტური ბანაკის დაშლა, სატელიტ სახელმწიფოებიდან საბჭოთა კოლონიალიზმის განდევნა და შეიძლება თვით კრემლის ბატონობის შერყევა

ყველასათვის ცნობილია, რომ მოსკოვის დიქტატორებს დასავლეთის სამხედრო ძლიერება აჩერებს, თორე აქამდის მათი აგრესია თავისუფალ მსოფლიოზე აღსრულებული ფაქტი იქნებოდა. ხრუშჩოვის გულისწყრომა გამოწვეულია საბჭოთა კავშირის ირგვლივ სახელმწიფობის მიმართ, უფრო იქ განლაგებული სამხედრო ბაზების შიშით, ვიდრე საერთო მშვიდობიანობის დაცვის ზრუნვით. აქედან მისი განმეორებითი მოთხოვნილებაა: ევროპიული თავდაცვის ორგანიზაციის დაშლა, სამხედრო ბაზების და ატომური ყუმბარების მოსპობა, რომ გაუადვილდეს თავისუფალ კაცობრიობის თავის ორბიტში მოქცევა და იქ საბჭოთა წყობილების ნაძალადევათ თავზე მოხვევა. მანამდის კი კონფერენციების მოწვევის და უმაღლეს დონეზე სახელმწიფოთა მეთაურების შეკრბის მოთხოვნა, მოკავშირეთა შორის შუღლის ჩამოგდება, დროს მოგება ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შესაქმნელად და ამ ხნის განმავლობაში ყველგან ხელსაყრელი სტრატეგიული პოზიციების დაჭერაა, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულება.

როგორია ეს პოზიციები, ან როგორი ფორმა უნდა მიიღოს ახლო მომავალში?

საერთაშორისო ძალთა სასწორზე, დიდ სახელმწიფოთა შორის, ჯერ კიდევ მათი გეოგრაფიული მდებარეობა, ან უკეთ გეოპოლიტიკური ფაქტორები თამაშობენ უდიდეს როლს, მათ ურთიერთობაში, ვიდრე იდეოლოგიური მოსაზრებები. ამ მხრივ, საბჭოთა კავშირის შეუწყვეტელი ღონისძიებანი ხელსაყრელ პოზიციების მოსაპოებლად, მსოფლიო მასშტაბით, მეტად დამახასიათებელი და იმავე დროს მეტად თვალსაჩინოა.

ჩვენი პლანეტა, დედა მიწად წოდებული, ორ მთავარ ბლოკად ნაწილდება: ჯერ კონტინენტალური ხმელეთი—აზია, ევროპა და აფრიკა, შემდეგ ატლანტიკის გადაღმა მდებარე ვრცელი კუნძული, დასავლეთის ნახევარსფერო, ანუ ამერიკა. ყველა ეს ხმელეთი გარშემორტყმულია ზღვებით და დიდი ოკეანებით, შეერთებული ბუნებრივი სრუტეებით და ხელოვნური არხებით. ამ კონტინენტალურ ბლოკის შუა გული პოზიცია საბჭოთა კავშირს უკავია (ის მოიცავს მთლიანად ჩრდილოეთის პოლუსს—არქტიკას), რომელსაც ეკვრის აზიის და ვროპის დიდი ნაწილი. აზიური ნაწილის გაგრძელებით ის უახლოვდება აფრიკის მისადგომებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირს მიეკუთვნა ევროპის თავდაცვის ბუნებრივი სიმაგრეები (აღმოსავლეთ ევროპა და ბალკანეთი). ჩინეთის გასაბჭოებით გზა გაეხსნა წყნარი ოკეანესაკენ და მნიშვნელოვნად განმტკიცდა მისი ბუნებრივი გეოგრაფიული პოზიციები.

მიუხედავათ ამ ხელსაყრელ მდგომარეობის საბჭოთა კავშირის პოზიციები მისთვის მაინც ნაკლებ სახეიროა,ვირდე ამას ზოგიერთები ფიქრობენ, ის როგორც ხმელეთის სახელმწიფო დაპირისპირებულია და უნდა შეიმართოს საზღვაო ძლიერების წინააღმდეგ. ზღვებს და ოკეანეებს კი ფლობენ მოკავშირეები (ამერიკა, ინგლისი და საფრანგეთი): საზღვაო სახელმწიფოთა უპირატესობა უზრუნველყოფილია, თუ ხანგრძლივად არა, ჯერ-ხნობით მაინც, ან იქამდე, ვიდრე მათ ხელთ უპყრიათ. ოკეანეთა საკომუნიკაციო გზები, ერთის პირობით, თუ მასზე თავისუფალია მიმოსვლა მტრის მიმართულებით. ეს რომ სიმბოლიურად გამოვსთქვად, საბჭოთა კავშირი წარმოადგენს დათვს, მოკავშირეები კი ვეშაპს. ხოლო დათვსა და ვეშაპს შორის ბრძოლა უდაოთ ამ უკანასკნელის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს.

ატომურ ხანაშიც, ეს ძირითადი რეალობა ე. ი. ზღვის უპირატესობა, ძალაში რჩება. ატომურ ყუმბარებს შეუძლიანთ ხმელეთის სამიმოსვლო გზები სავსებით გაანადგუროს, ხოლო საზღვაო გზების დაზიანება მათ არ შეუძლიანთ.

სანამ ჯერ კიდევ დასავლეთის განკარგუ-

დათვის და ვეშაპის ბრძოლა.

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე)

ლებაშია ზღვები და ოკეანები, მისი უშიშროება ყოველგვარ საფრთხის გარეშეა. საბჭოთა კავშირის მუდმივი ცდა კი მიმართული იქნება იქითკენ, როგორმე დაეპატრონოს საკომუნიკაციო გზებს, ან ნეიტრალიზაცია უყოს იმ პოზიციებს, რომლებიც ამ ჟამად თავისუფალ მსოფლიოს უპყრია.

საბჭოთა კავშირმა წყნარ ოკეანეს მიმართულებით უეჭველად ზოგიერთ წარმატებებს მიაღწია, იმავე დასავლეთის დახმარებით. ეს იყო პირველად მრავალმილიონიანი ჩინეთის და ნახევარ ვიეტნამიანის დაკარგვა, ამის **შემდეგ ინდონეზიაც კომუნიზმის გარემოცვა**ში მოჰყვა და მოსკოვის გავლენას განიცდის. ეს საბჭოთა კავშირს საშუალებას აძლევს კონტროლი გაუწიოს სამხრეთ აზიის სანაპიროებს.

დასავლეთმაც, ამერიკის თაოსნობით, მოახერხა წყნარ ოკეანეს გასწვრივ გაემართა თავდაცვითი პოზიციები, დაწყებული ალეუტიდან, გათავებული პოლინეზიამდე. ხოლო ეს პოზიციები უფრო თავდაცვითია, ვიდრე შეტევითი. თანამედროვე სამხედრო საჭურველი იქ მტრის ჯარების გადმოსხმას შეუძლებელს ხდის. ჰიტლერს ერთი ატომური ყუმბარაც რომ ჰქონოდა, მოკავშირეები ნორმანდიაში ჯარს ვერ გადმოსხავდნენ და ისტორიული მოვლენების გეზი სულ სხვა მიმართულებას მიიღებდა. მაშასადამე,საბჭოთა კავშირი წყნარ ოკეანეს ფრონტზე, უდაო ზოგიერთ სტრატეგიულ მიზნებს აღწევს, ან უფრო სწორედ, შესაძლებლობა აქვს თავის მთავარ ობიექტების მიღწევის. ხოლო ისიც მართალია, რომ ამერიკის სტრატეგიის მთელი ყურადღება ამ ფრონტისაკენ არის მიქცეული; შექმნილია მრავალმხრივი თავდაცვითი სისტემა, რაც გზას ულობავს კომუნიზმის წინსვლას, მაგრამ აქაც ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. უწინარეს ყოვლისა, დადებულ პაქტიდ დაპირებულ დახმარების დაუყონებლივ შესრულება, რათა საბჭოთა იმპერიალიზმის გეგმები დროულად ჩაიშალოს და მოსალოდნელი მისი აგრესია უკუგდებულ იქმნას.

ატლანტიკის მხრით მდგომარეობა სულ განსხვავებულია. ამ საქტორზე შემოტევას მრავალჯერ ჰქონდა ადგილი. აქ დამიზნებულია თვით ატლანტიკის თავდაცვის ცენტრი—სახელდობრ ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთის სანაპიროებზე მოთავსებული სამრეწველო რაიონები. პირველი ცდა მოხდა 1936 წ., რომ დაეპყროთ ესპანეთი. ეს იბერიის ნახევარ კუნძული თავის ბუნებრივ ნავთსადგურებით, თავისი დომინური პოზიციებით, როგორც ატლანტიკის ავანპოსტი, ისე ხმელთაშუა ზღვის უკან მდებარე ქვეყანა, მთავარი სექტორის გასაღები—ბჭე-კარია. ეს შეტევა მარცხით და, მთავრდა, საშინელ სამოქალაქო ომის საფასურით.

შემდეგი ცდები განმეორდა 1945-1953 წლებ შუა. იალტის კონფერენციაზე სტალინის პრეტენზიები მთელს ვროპაში გავლენის მოსაპოვებლად, შემდეგ ბერლინის ბლოკადა, პოლიტიკური ხასიათის გაფიცვები საფრანგეთში და იტალიაში. ავსტრიაში წითელი არმის დახმარებით კომუნისტების შეთქმულება ხელისუფლების დასაპყრობად. ეს იყო წინასწარ განზრახული შეტევა დასავლეთის წინაალმდეგ აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის კოსოლიდაციისათვის. საბჭოთა კავშირის ყველა ეს შემოტევები მოიგერია დასუსტებულ, მაგრამ თავისუფლების მოყვარულ ერებმა. ამერიკის ენერგიულ ინტერვენციით.

1953 წ. სტალინის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც შინ და გარეთ დიდი გამოძახილი მოჰყვა, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები იძულებულნი იყვნენ გადაესინჯათ მათი ტაქტიკა. ხოლო მოსალოდნელი ცვლილებები და დაძაბულობის შენელება, რომელიც დასავლეთში შესაძლებლად მიაჩნდა, არ გამართლდა. სტალინის მემკვიდრეებმა ესეც თავის სასარგებლოთ გამოიყენეს. მათ მშვიდობის და თანაარსებობის დაულალავი პროპაგანდით მოახერხეს დაეფარად ძველი აგრესიული ზრახვები თავისუფალი მსოფლიოს წინაალმდეგ აშკარა დაპირისპირება და შეტევა, შინაური მდგომარეობის გამო მათთვის შეუძლებელი გახდა. დროებით მათ ირჩიეს მიხვეუ-მოხვეული გზები, შემოვლითი ოპერაციები, რომელიც არა ნაკლებ საშიშია, ვიდრე ძველი სტალინისებური ჯიქური ბრძოლა.

ევროპაში მათ შეუძლიანთ ორი მიმართულებით შემოლახონ: ჩრდილოეთით სკანდინავიის ქვეყნების გადავლით, ან სამხრეთით—აფრიკაში შეღწევით. ამგვარი ოპერაციები მათთვის ხელსაყრელია და ერთსა და იმავე დროს ორი მხრით სწარმოებს. ამის ცდები თითქმის შეუწყვეტლად მეორდება

ხშირად ნაკლები ყურადღება ექცევა იმას, რაც ჩრდილოეთის მიდამოებში ხდება. როცა ლაპარაკობენ სკანდინავიაზე, მხედველობაში აქვთ შვეცია, ნორვეგია და დანია, პატარა სახელმწიფოები, პოლიტიკურად სტაბილური ქვეყნები, ფინეთი კი სავსებით მივიწყებულია მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ფინეთი იძულებული იყო, რადგან დასავლეთი არ გამოექომაგა, ხელი მოეწერა მისთვის საზიანო ხელშეკრულებაზე. საბჭოთა კავშირმა ისარგებლა ამ შემთხვევით და მას წაგლიჯა ყველა სტრატეგიული პუნქტები და თვით შეიერთა მისი ეროვნული ტერიტორიის დიდი ნაწილი. ახლა ეს პატარა სახელმწიფო მუდამ საბჭოთა კავშირის საფრთხის ქვეშ იმყოფება. ამგვარად განიარაღებული ფინეთი, სკანდინავიის ნახევარ კუნძული, ბალტიის ზღვის დართვიდ, ღია კარებია დასავლეთ ევროპაში კომუნიზმის შემოსატევად.

ამ უკანასკნელ დროს ფინეთში კომუნისტურმა პარტიამ საგრძნობი პროგრესი გააკეთა მოსკოვის დახმარებით. ამას წინედ მომხდარი პარლამენტის არჩევნებში კომუნისტებმა ხმების მეოთხედი მიიღეს. ეს რა თქმა უნდა როგორც ყველგან, საბჭოთა კავშირის ფინეთის შინაურ საქმეებში ჩარევით და ძალდატანებით მოხდა. შერყეული შინაური მდგომარეობა ეკონომიური კრიზისი, საბჭოთა კავშირთან მეტად გაგრძელებული საზღვრები და ეკონომიურად და ფინანსიურად მასზე დამოკიდებულს ელოდება სატელიტების რიგში ჩათრევა. ფინეთის გასაბჭოება თავისთავად გული სხმობს ჩრდილოეთ ევროპის ზღუდის დანგრევას და ძალთა წონასწორობის დარღვევას. აქედან საბჭოთა კავშირს გზა ეხსნება კუნძულ ფეროეზე, შპიცბერგისა და ისლანდიისაკენ.

რაც შეეხება სამხრეთიდან შემოვლას, აზია აფრიკიდან, აქ უფრო ნათლად სჩანს კომუნისტების განზრახვები და ამბიციები. ბაღდადში უკანასკნელად მომხდარი ამბები აუცილებლად მეტად სერიოზული გაფრთხილება იყო დასავლეთისათვის. საერთო თავდაცვის სისტემა რომელიცბაღდადის პაქტიდ გაფორმდა, ინგლის ამერიკის უშუალო მონაწილეობით და რომელსაც მახლობელ აღმოსავლეთში სამხრეთის ფრონტი (თურქეთ–ერაყი და პაკისტანი) უნდა გაემაგრებინა, მეტად სახიფათოდ გაიბზარა. მახლობელი აღმოსავლეთი, რომელსაც არაბთა მსოფლიო წარმოადგენს, აფრიკის გასაღები კარებია და იქ კომუნიზმის ფეხის მოდგმა ძალზე ასუსტებს დასავლეთის პოზიციებს. თუ საბჭოთა კავშირმა თავის გაუთავებელი ინტრიგებით ეგვიპტე, სირია ერაყში საბოლოოდ შეინარჩუნა იქ მოპოვებული გავლენა, ჩრდილოეთ აფრიკაში შეღწევისათვის მას აღარავითარი დაპრკოლება აღარ ექნება.

თავის დროზე ლენინ-სტალინი ამბობდნენ, რაც ახლაც ძალაშია: რომ კოლონიალური ხალხების ნაციონალიზმი, მათი ემანსიპაცია და განთავისუფლება ყველაზე საიმედო გზაა კომუნიზმის გამარჯვებისათვისო. ხოლო ახლად განსვენებული დიდი პოლიტიკური მოღვაწე ჯონ ფოსტერ დალესი, რომელიც პრეზიდენტთან ერთად მსოფლიო პოლიტიკის საჭეთ მპყრობელი და მისი გეზის მიმცემი იყო, ფიქრობდა რომ კომუნიზმი კაცობრიობის ისტორიაში გარდამავალი ხანაა, რაც უდაო დებულებაა, მაგრამ ვიდრე გარდამავალი ხანა გაივლიდეს და კომუნიზმი წუთისოფელს მოსჭამდეს მას კაცობრიობისათვის ბევრი ზიანის მოტანა შეუძლიან.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა იმპერიალიზმის გზები საკმაოდ გაკაფულია და დასავლეთის შეცდომის გამო, გარკვეულ, რეალური პოლიტიკის უქონლობის გამო. საბჭოთა კავშირმა შესძლო სტრატეგიული ბასტიონების, როგორიც არის თურქეთი, ირანი და პაკისტანის გარშემორტყმა და თავის მუქარის ქვეშ დაყენება. შეგვიძლია ასევე ვიფიქროდ, რომ პატარა სახლმწიფოები, როგორც მაგალითად მაროკო, ტუნისი, განა-გვიანა და სხ. სადაც ხელისუფლების სათავეში ზომიერი მთავრობები არიან, დიდ ხანს ვერ გაუძლებენ ცდუნებას და დასავლეთის დაუხმარებლად კომუნისტების და მემარცხენე ელემენტების და საბჭოეთის ფარულ აგენტების პროპაგანდას და დამარღვეველ მუშაობას. აფრიკაში კომუნიზმის გამარჯვება თანამედროვე ცივილიზაციის დამღუპველი და დასასრული იქნება და ხანგრძლივი ხაოსის და წყვდიადის გამეფება.

ხმელთაშუა ზღვისკენ წამოწევა და მოწოლა ახლავე მძიმე პრობლემას აყენებს თავისუფალ მსოფლიოს წინაშე. ჩვენ ვიცით, რომ ხმელთაშუა ზღვის შესავალ გამოსავალი კარებია სუეცის არხი და ჰიბრალტარის სრუტე, ეს ორი სტრატეგიული პუნქტია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ ევროპის თავდაცვისათვის. სუეცის არხი სანახევროდ მაინც დაკარგულად უნდა ჩაითვალოს დასავლეთისაოვის, თუ მშვიდობიანობის დროს არა ომის შემთხვევაში მაინც. ის ეხლა ეგვიპტეს ეკუთვნის და მისი კონტროლის ქვეშ არის. ეგვიპტის და ერაყის მთავრობათა მეთაურები საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროს ორბიტში ტრიალებენ, ჯერ ხნობით მაინც. თუ მომავალში საბჭოთა კავშირი შესძლებს, რომელიმე აფრიკის ახლად შექმნილ სახელმწიფოს მეშვეობით ფეხი მოიკიდოს აფრიკის სანაპიროზე, სადმე ჰიბრალტარის მახლობლად, მაშინ ატლანტიური პაქტის ორგანიზაცია დაჰკარგავს ყოველგვარ თავისუფალ მანოვრის საშუალებას და ამერიკის მეექვსე ფლოტიც იძულებული იქნება ხმლთაშუა ზღვიდან გავიდეს და ატლანტიური ოკეანესკენ დაიხიოს. ხმელთაშუა ზღვა გადაიქცევა დახშულ ზღვად და უსარგებლო გახდება დასავლეთისათვის, ისე როგორც საბჭოთა კავშირისათვის ეხლა არის შავი ზღვა, ვიდრე თურქეთი ფლობს დარდანელის სრუტეს.

ასეთია გეოპოლიტიკური რეალობა, რომელიც ვანაპირობებს დღევანდელ მსოფლიოს სტრატეგიულ მოხაზულობას, მის კონფიგურაციას. არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ის ხელსაყრელი იყოს და გადაჭრით არც იმის თქმა რომ ის სავალალო და უნუგეშოა ჩვენთვის. დასავლეთს ჯერ კიდევ დიდი შანსები აქვს, მხოლოდ იმ პირობით, თუ მომავალში დროულად შესძლებს ერთობილ მოქმედებას და მთლიანად გამოიყენებს ყველა საშუალებას და სამხედრო პოტენციას, რომელიც მის ხელშია.

ს. ჭირაქაძე

სიტყვა, წარმოთქმული ა. შ. შტატებში არსებულ ქართული სათვისტომოს მეთაურის, დოქ. ოთარ ზალდასტანიშვილის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის 41-თე წლის თავის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო კრებაზე.

ქალბატონებო და ბატონებო!

დღეს ერთხელ კიდევ მოვიყარეთ თავი, რათა მოვიგონოთ ქართველი ერის დამოუკმდებლობის დღე. მას შემდეგ 41-მა წელმა განვლო, რაც ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა

ჩვენი თვითმყოფობა მხოლოდ სამი წელიწადი გაგრძელდა და 1921 წ. კვლავ მოვექეცით საშინელი ტირანიის ქვეშ, რომლის წინაშე, მსოფლიო ისტორიაში ცნობილი ტირანები და ტირანიებიც კი ღმობიერად გვეჩვენება და რომელიც გადაიქცა საბჭოეთის სტანდარტულ მიმართულებად ყველა მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების მიმართ, დღიდან მათი დაპყრობისა.

ქართველი ერის ლიდერების დიდი უმრავლესობა, რომლებიც ამ ისტორიული თარიღის დამკვიდრებას და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ხელმძღვანელობდნენ, უკვე აღარ არიან. მას შემდეგ დამოუკიდებლობის აღსადგენად წარმოებულ ბრძოლებს ორი თაობა უანგაროთ ემსახურა და თავდადების და რაინდობის ზღაპრული ნიმუშები მოგვცა.

მაგრამ, სჩანს დროს მაინც თავისი გააქვს და საქართველოს უბედო ბედი ყველა ქართველს ერთნაირად აღარ აწუხებს. არის ნიშნები, რომ ზოგმა კიდეც დაკარგა თავისუფალი სამშობლოს ნახვის იმედი და საჭიროთაც აღარ მიაჩნია ამ დიდი ეროვნულ-ისტორიული თარიღის აღნიშვნა, რომლისთვისაც დღეს აქ შევიყარენით. ისენი ამ საზეიმო დღეს უყურებენ მხოლოდ, როგორც ერთი და იგივე, ძველი ფაქტის მონოტონურ განმეორებას, რომელსაც არავითარი მომავალი აღარა აქვს. ისენი დარწმუნებულნი არიან, რომ რაც დრო გადის მით უფრო ვშორდებით მიზანს და ჩვენი ცდები ვეღარ შესძლებენ ისტორიის მსვლელობის შეჩერებას, ან შეცვლას და ამიტომ ჩვენი გაბრძოლება უმიზნოა და უშედეგოც იქნება. ამ გვარი განწყობილება არღვევს მებრძოლთა რიგებს და მტერთან შეურიგებლობის მორალს ასუსტებს. ეს არა პირდაპირ მტრის ინტერესებში შედის და ჩვენი ვალია მას დაუპირდაპირდეთ და შევებრძოლოთ

შექმნილი მდგომარეობა გვავალდებულებს ძალიან ნათლად გამოვკვეთოდ ჩვენი პოზიციები: ვანვსაზღვროთ ჩვენი მოვალეობანი, დავაზუსტოდ მეთოდები, შეუცდომლად გავითვალისწინოდ ჩვენი შესაძლებლობანი, ან გამოვძებნოდ ახალი, რომელიც პოზიტიურ შედეგს მოგვცემს. ასე მაქვს წარმოდგენილი მიზნის მიღწევის წინდაწინი პირობა.

26 მაისი არ წარმოადგენს უბრალო წლის თავის მოსაგონარ დღეს; იგი სიმბოლოა ქართველი ხალხის უფლების, რომ ის უნდა იყოს თავისუფალი, თვითონვე უნდა განსაზღვროს თავისი მომავალი და თავისი სურვილის და შეგნების მიხედვით აირჩიოს რეჟიმი და მთავრობა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არ დაწყებულა 1918წ. ისტორია ამტკიცებს. რომ ქართული სახელმწიფო 3000 წლის წინად არსებობდა მცირე აზიაში. დღევანდელი მიწა-წყალი კი ჩვენს წინაპრებს 2.500 წ. წინ დაუკავებიათ. მიუხედავათ ურიცხვი შემოსევებისა ქართველებმა შეინარჩუნეს თავიანთი ენა, რელიგია და ტრადიციები.

საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ერმა შექმნა ყველა ის პირობები და ძლიერი საძირკველი, რომელზეც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა დაშენდეს. როგორც ყოველ დამოუკიდებელ ერს, ისე საქართველოსაც აქვს ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების უფლება, რადგან მისმა მოსახლეობამ დაამტკიცა სახელმწიფო მშენებლობის უნარი, შესაძლებელია უფრო მეტად, ვიდრე სხვებმა გამოამჟღავნეს, რათა მოიპოონ, ან შეინარჩუნონ თავისუფალი ცხოვრება. ეს ისეთი ფაქტია, რომელსაც ქართველ ერს ვერავინ შეეცილება და ამის აღნიშვნა და განმეორება იქამდე უნდა ხდებოდეს, ვიდრე ის სასურველ შედეგს არ მოიტანს.

საქართველოს გეოგრაფიული სურათი იმდენად მომხიბვლელია, რომ მას მისი მეზობელი ქვეყნები, უძველესი დროიდან შურის თვალით უყურებდნენ. ბევრ შორეულ ქვეყანასაც აღძვრია მადა თვალწარმტაც საქართველოს ხელში ჩასაგდებად.... კავკასიის მთების ფეხთით და შავსა დაკასპიის ზღვებ შორის მდებარე საქართველო გაჰყურებს შუა აღმოსავლეთს და მისი გაშლილი მკლავები კი აზიას ევროპასთან აერთებს. იგი თავისი ხმელთაშუა ზღვის კლიმატით მრავალ მნიშვნელოვან მინერალებს და მრავალ ბუნებრივ სიმდიდრეს სთავაზობს ქვეყანას, ამიტომ სრულებით ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ქართული ისტორია თავდაცვითი ბრძოლის გაუწყვეტელი ჯაჭვია, მით უმეტეს, რომ ამ თვალწარმტაცობას მეოთხე საუკუნეში ზედ დაერთო ერთი უმნიშვნელოვანსი ფაქტორიც. ქრისტიანული სარწმუნოება სწრაფად გავრცელდა საქართველოში და დაეუფლა არა მარტო ადამიანის სულს, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებასაც.

ამგვარად, ციხე-სიმაგრის მსგავსად შემოსალტული მთებით, სრულიად უზრუნველყოფილი მატერიალურად და სულიერად გაერთიანებული ქართველი ერი დაუძლეველი იყო და თავის არსში მუდამ პოულობდა ძალას, რათა მოზღვავებული მტრებისათვის გაეძლო და თავისი ეროვნული პიროვნებაც დაეცვა. მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ორჯერ დაკარგა საკუთარი ადმინისტრაცია; ერთხელ არაბებმა, ხოლო უფრო გვიან რუსებმა წარგვტაცეს ის. დამარცხებული ქართველი ერი არასოდეს არ დანებებია მტერს, არ დაუყრია იარაღი და თვითმყოფობისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია. ხოლო მტრისგან განთავისუფლებული ქართველი ხა

საბჭოთა მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკის ერთი ფორმა.

(გადაცემული იყო მიუნხენში, რადიო „განთავისუფლება“-ს მიერ).

ლენინის ბრძნული დებულებით, სოციალიზმმა ეროვნებათა კონსოლიდაციის ნაცვლად, ერთა ძმობის განვითარების გზით, უნდა მოიტანოს ყველა ერების ერთად გადაქცევა მთელ მსოფლიოში, ხოლო მისი მოწაფეების აზრით, მანამდე უნდა შემზადდეს ასეთი გათქვეფის პირობები საბჭოთა კავშირის ფარგლებში სადაც სოციალიზმი უკვე განხორციელებულია. ერთი ასეთი პირობათაგანია საბჭოთა პატრიოტიზმის გაღვივება და გაძლიერება. ეს დებულებანი თავისთავად უფრო თეორიული სპეკულაციის ნაყოფია და არა რეალური სინამდვილის ანალიზზე დამყარებული დასკვნა. მაგრამ ჩვენ ამ ჟამად მისი მცდარობა კი არ გვაინტერესებს, არამედ ის, რომ იგი საბჭოთა ეროვნულ პოლიტიკას უძევს საფუძვლად და ერთა ძმობის ნაცვლად, ერთა ბრძოლისა და სიძულვილის მიზეზად არის გადაქცეული.

საქმ იმაშია, რომ პატარა ერებს, მათ შორის ქართველ ერსაც, შინაური კომუნისტი კალმოსნები უქადაგებენ რომ ასეთი ერთა გათქვეფა მისი განვითარების აუცილებელი, გარდაუვალი შედეგია, რომ ყველა ერთაგან ულმობელი ისტორიული კანონზომიერებით უნდა შეიქმნას ერთი საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა პატრიოტიზმით გამსჭვალული. მაგრამ ვინ ვერ მიხვდება, რომ დიდი და პატარა ერის ერთად შერწყმით, დიდი ერი ოდნავათაც არ დაკარგავს თავის ეროვნულ ძირითად ხასიათს, პატარა ერი კი სრულიად გაქრება, როგორც მდინარე ქრება, როცა ზღვას შეერთვის. საბჭოთა კავშირში არის დიდი ერი, რომელიც სწორედ ამ დანიშნულებისათვის არის შერჩეული კომუნისტური ხელისუფლების მიერ. კომუნისტურ თეორეტიკოსებს ამ შემთხვევისთვის აქვთ წამოყენებული დამატებითი კონკრეტული დებულებები. კომუნისტური ბედნიერება მოუტანა ყველა ერებს ლენინის მოძღვრებამ. **ცხადია, ლენინის ენა უნდა გახდეს საყოველ**თაო ენად. ზოგიერთი ერთგული კალმოსნები **უფრო შორსაც მიდიან. მათი მტკიცებით პატარა ერებმა უკვე მოახდინეს თავისთვის არ**ჩევანი და რუსული ენა მიიღეს მეორე მშო**ბლიურ ენად. შემდეგი განვითარების პროცეს**ში ეს მეორე ენა თავისთავად ზედმეტს გახდის პატარა ერთა ენების არსებობას. ესაა კომუნისტების აზრით, აუცილებელი პროცესი საბჭოთა კავშირის ერთა განვითარების ისტორიული კანონისადა ამ ვითომდა ისტორიულ კანონზე შენდება საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა პატარა ერებისათვის. ესაა ტკბილი სიტყვებით მწარე აბების მოწოდება ჩასაყლაპავად. ამ საფუძველზე ხდება იძულებით პატარა ერთა ენაში რუსული ელემენტების შეტანა. ამ ერთა რესპუბლიკების რუსულ მცხოვრებლებით ავსება. რუსული ენისძალით თავ**ზე მოხვევა, ადგილობრივი ინტელიგენციის სა**ბჭოთა სხვა რაიონებში გადასროლა, მათ ადგილზე ჩამოსახლება ლენინის ერის წარმომადგენლებისა. ზოგან ხდება ახალი წარმოების, ან მთელი ქალაქების გაშენებაც კი უცხოური, **უმრავლესათ რუსული ელემენტებით ასავსე**ბად ე. ი. კოლონიზატორული მიზნების მისაღწევად. საბჭოთა კომუნისტები ორი მხრივ აწარმოებენ ამ შემთხვევაში პროვოკაციულ პოლიტიკას. რუსის ხალხში ცდილობენ გაა**ღვიძონ საბჭოური იმპერიალისტური პატრიოტიზმი, რაც ამავე დროს ცხადდება რუსულ პა**ტრიოტიზმად, ე. ი. წმინდა ეროვნული პატრიოტიზმი კი უნდათ ჩააყენონ იმპერიალისტურ კოლონიალური პოლიტიკის ჩარჩოებში. ხოლო პატარა ერებში იწვევენ ამით რუსის ხალხისადმი უკმაყოფილებას და ხშირად სიძულვილსაც.

ამ ეროვნული მტრობის გაღვივებით ცდილობენ კომუნიზმისადმი სიძულვილი, რომელიც ასე ძლიერია პატარა ერებში, რუსული ერის წინააღმდეგ მიმართონ, ხოლო ეს უკანასკნელი მოკავშირეთ გაიხადონ თავის დესპოტიური ბატონობის გასამაგრებლად. ამ რიგათ ურთიერთ გადაკიდებით თავის ბატონობის განმტკიცებას. აი რა უდევს საფუძვლად საბჭოთა კომუნისტური მთავრობის პოლიტიკას და ეს არის, ვიმეორებთ, ყველაზე საშიში ფორმა საბჭოთა მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკისა. ისტორიამ ბევრი იცის ასეთი ერთა და სჯულთა დაპირდაპირება იმპერიალისტური მიზნებისათვის, მაგრამ ასეთი ფარისევლური ფორმით, ასეთი გარეგნულად კეთილშობილი და არსებითად ბოროტი საქმიანობით კი მხოლოდ საბჭოთა კომუნისტურ მთავრობას აქვს იგი შემოღებული.

ვფიქრობთ და ვიმედოვნებთ, რომ კომუნიზმის ამ ბოროტ მისწრაფებასაც საბჭოთა ერები დიდი და პატარა, ვისაც უყვარს თავისუფლება ერის და ადამიანის პიროვნებისა, სათანადო პასუხით შეხვდებიან.

კავკასიური პოლიტიკის მცდარი გზა.

(დასასრული. იხ. „ქ. აზრი“-ს 32 ნომ.)

მსგავსი მაგალითები მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ დავკმაყოფილდეთ სკანდინავიით, როგორც ყველაზე დამახასიათებელი „გეოგრაფიული ერთეული“.

ჩვენის აზრით, კავკასიური პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა, მისი მოსახლეობის ნაყოფიერი და გულწრფელი თანამშრომლობა და ერთი მეორის დანდობა-პატივისცემა, კავკასიელი ერების ურთიერთობის საუკეთესო გამოსავალია.

ჩვენ ვცხოვრობთ ეროვნული იდეის ზეასვლის, გამარჯვების ეპოქაში და მრავალ-ერიან სახელმწიფოს ადგილი დაიჭირა ცალკე ეროვნულ- დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობამ, რომლებიც ერთი მეორეს ეკვრიან მეგობრული ხელშეკრულებით და ეროვნულ ინტერესთა დაცვითა და პატივისცემით ემსახურებიან კეთილ მეზობლურ და საკაცობრიო იდეალს.

სიამოვნებით აღვნიშნავთ ყოველთვის იმას, რაც კავკასიელ ხალხს აერთიანებს, ხოლო სიჩუმით გვერდს ვუვლით, რაც მათ ერთი მეორესგან აშორებს, რაც სამწუხაროთ, სრულებითაც ცოტა არ არის. იმასაც რომ თავი დავანებოთ, რომ ყოველ კავკასიელ ერს და ტომს აქვს საკუთარი ცხოვრება და თავისი განსაკუთრებულება, ჩვენ კიდევ გვანსხვავებს ისეთი დიდ მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც საერთო კავკასიური სახელმწიფოს მშენებლობა, მისი როლი საერთაშორისო ცხოვრებაში და მისი ურთიერთობა მეზობლებთან.

ძნელად წარმოსადგენია, რომ კონფედერაციაში ჩაჭედვით ამ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობა მოისპობა და უფრო არ გაძლიერდება, რომელმაც შეიძლება დაღუპოს ახალგაზრდა სახელმწიფო. ეს იქნებოდა უდიდესი კატასტროფა, რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათ. კავკასიური პრობლემის ყველაზე გონივრულ გადაწყვეტად მიგვაჩნია, რომ ყოველ მის ერს ჰქონდეს შესაძლებლობა შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო და იცხოვროს საკუთარი ეროვნული ცხოვრებით, ხოლო ეროვნულ სახელმწიფოთა გაერთიანება უნდა მოხდეს კეთილმეზობლურ და მეგობრულ ხელშეკრულებით, რომლის მიზანიც იქნება საერთო ძალითა და ენერგიით ემსახუროს და დაიცვას საერთო სამშობლო კავკასია.

არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ 1917-21 წლების გაკვეთილიც. ამ დროს საერთო კავკასიური სახელმწიფოს შექმნის ცდა დამარცხდა არა მარტო იმიტომ, რომ ამისათვის მომზადებულნი არ ვიყავით, არამედ და უფრო იმიტომ, რომ ეს არ იყო რეალური.

კონფედერაცია არ წარმოადგენს იმ ერთად ერთ გამოსავალს, რომლის გარეშეც ვერ იკოცხლებს კავკასია. არსებობენ სხვა, უფრო სწორი გზები და ამაზედ არა გვმართებს თვალის დახუჭვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ცხოვრება გვაიძულებს ამ სხვა გზით სიარულს, აღმოჩნდება, რომ მოუმზადებლები ვართ, რაც მძიმე პასუხისმგებლობით დაგვტვირთავს

დ. შალიკაშვილი.

წერილი ოსმალეთიდან.

ჩვენ მივმართედ ოსმალეთის ერთ მოქალაქეს, რათა ეცნობებინა იქ მობინადრე ქართული ჯიშის მდგომარეობა და მათი საჭიროებანი. კეთილი ინება და ჩვენს კითხვებს გასცა პასუხი, რომელსაც შეუსწორებლად ვაქვეყნებთ.

თურქეთის ქართველების ცნობები.

კითხვა: როდის მოვიდნენ მუსულმანი ქართველები (გურჯები) და რატომ?

პასუხი: 1877 წელში ოსმალეთის და რუსეთის ომში, რუსების ბატონობის არ მდონლობის გამო.

კითხვა: რომელ რაიონებში დასახლდნენ და რამდენნი არიან?

პასუხი: ართვინ, ორდუ, სინოფ და ისტამბულ ბურსა და ბანდურმის სოფლებში. მე ბანდურმის სოფლებიდან ვარ. აქ ათი სოფელი არის. მთელი ვიცი. დაახლოვებით 3000 ქართველია. **სხვა რაიონების სოფლების დათვლა** შეუძლებელია ჯერჯერობით. ამიტომ რომ ბევრი დრო უნდა და საქმემ არ მცლის. მაგრამ მომავალში დათვლა მწადია.

კითხვა: მთელი ქართული ლაპარაკობენ თუ არა?

პასუხი: სამწუხაროთ არა. ვისმენ ზოგ სოფლებში ქართული დავიწყებულა, მაგრამ რასა კვირველია „ქართველი ვართ, მაგრამ ქართული არ ვიცითო“ ამბობენ.

კითხვა: როგორი არის ქართული ენის მდგომარეობა?

პასუხი: ბევრი თურქული სიტყვებია შესული

კითხვა: როგორია ქართული ფოლკლორი?

პასუხი: ქორწილებში ან სხვა მიზეზით ფერხული, სიმღერა, ლექსი, გამოცანა და ექია არის ზოგი ლექსები შეგროვილი მაქვს.

კითხვა: ქართული წერა-კითხვა იციან თუ არა

პასუხი: სამწუხაროთ არა. ბევრმაც ქართული ანბანის ყოფნაც არ იცის. ცოტა ვინმე არის ქართულის მცოდნელი.

კითხვა: როგორ იქნება დასწავლა დედა ენის წერა კითხვისა?

პასუხი: ქართული ენის დახმარებით. ბევრი ქართველი მთხოვს ქართულ ანბანს და თანმე უწერ. ზოგმა ისწავლიან, მაგრამ ბევრმაც აგდობენ ერთ კუთხეში, იმიტომ რომ ჩასაკითხავი ადვილი რამ არ აქვანან. ქართული აზ**რი და სხვა გაზეთებს ვერ აგნობენ. მათ** უნდებიან 5-6 მოკლე ხალხური მოთხრობიანი და 5-6 ხალხური ლექსებიანი პატარა სურათიანი ანბანი. იმედი მაქვს, რომ ამის გაკეთება ან დაბეჭვდა თქვენთვის ძალიან ადვილია და ქართვლებში იქნება ანბანის გამკეთბელი ქართულის მოყვარული ვინმე. ჩვენ, მუსულმანი ქართვლები გეხვეწებით მალე დროში მოკლე სურათებიანი ანბანი მოგვაწოდოთ. ამიტომ, რომ გიცდიან მრავალი ქართველი ტკბილ დედა ენის წერა კითხვის დასწავლისათვის, ეს იქნება დიდი დახმარება ქართული ნასიონალიზმისა.

თუ სხვა კითხვა აქვს ვინმეს მომიწეროს ვუპასუხებ სიხარულით. სხვა დროს მოგწერთ, როგორ იქნება აქაური ქართველების განათლება და კავშირი თქვენთან.

ა. მელაშვილი.

EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia. EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli. PUBLISHER: Georgian National Alliance, 40 E. 65 St., N. Y. C.

ლხი დაუყონებლივ გამოავლინებდა შემოქმედების მაღალ უნარს და ყვავდებოდა კულტურის ყოველი დარგი. ჰუმანური პრინციპების წინ ძღოლით, ქართველები სისტემატიურად აუმჯობესებდნენ კანონ სამართალს და სახელმწიფო მმართველობას. ჩვენი ეკლესია იყო ლიბერალური და არასოდეს არ სდევნიდა სხვა რწმენის ხალხს. იყო დრო, როცა საქართველომ დიდების მწვერვალს მიაღწია და მას მთელი მსოფლიო ქებით და პატივით იხსენიებდა ქართველების პოლიტიკური სიმწიფე ბრძენი თამარ მეფის ეპოქით დაგვირგვინდა, რომელმაც მეთორმეტე საუკუნეში შექმნა კონსტიტუციონალური მონარქია; მაშასადამე ერთი საუკუნით ადრე, ვიდრე დიდმა ბრიტანეთმა აირჩია მმართველობის ასეთი ფორმა

სელჯუკ-თურქთა და სპარსელებთან შეუწყვეტელი ბრძოლებით დაქანცულმა საქართველომ 18-ს. გადასწყვიტა, მუსულმანთა დაწოლის მოსაგერიებლად, მოეძებნა ძლიერი მოკავშირე.

ევროპასთან ცდების უნაყოფოდ დასრულების შემდეგ ჩვენმა წინაპრებმა არჩევანი რუსეთზე შეაჩერეს როგორც ერთმორწმუნე და მაშასადამე ურთიერთ ინტერესების ადვილად შემცნობი და გამგები ქვეყანა. თუ რა შედეგი მოჰყვა ამ აქტს ყველასათვის ცნობილია. 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევა მხოლოდ დასაწყისი იყო მთელი რიგი ინტერნაციონალური კანონების დარღვევებისა, რომელიც ჯერ მონარქიულმა, ხოლო შემდეგ საბჭოთა რუსეთმა ჩაიდინა საქართველოს მიმართ.

რუსეთი არავითარ ძალდატანებას და ბარბაროსულ მეთოდებს არ მოერიდა, რათა ჩვენი დამოუკიდებლობის ყოველგვარი ნიშანწყალი წაეშალა და ქართველი ერის გადაგვარება, გარუსება დაეჩქარებინა. მიუხედავათ ამისა, მათ ვერ მოახერხეს წაერთმიათ ჩვენთვის საკუთარი ენა, ეროვნული ტრადიციები და უძველესი ცივილიზაცია.

19-ტე საუკუნის დასასრულს ბრძოლამ ახალი, რევოლუციონური ხასიათი მიიღო. წარმოიშვა ერთგვარი ახალი კომბინაცია: სოციალურ იდეებთან დამყნილი ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც 1917 წ. რუსული რევოლუციით დასრულდა. ხოლო 1917წ. ნოემბერში, როგორც კი ბოლშევიზმი დაეუფლა რუსულ რევოლუციას და იქ გაბატონდა, საქართველოში დაუყონებლივ შესდგა ეროვნული ყრილობა, რომელმაც 1918 წ. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობა საქვეყნოდ აღიარა.

სამი წლის მანძილზე საქართველომ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ ის მომზადებულია თვით არსებობისათვის და შესწევს ძალა და უნარი თავის თავს თითონ უპატრონოს. თავისუფალი, ფარული და მაღალ დემოკრატიული პრინციპების დაცვით იქმნა არჩეული დამფუძნებელი კრება (პარლამენტი), რომელმაც და ამუშავა და დაამტკიცა კონსტიტუცია; შეიმუშავა კანონები და და ჩაატარა რეფორმები, რაც ერთხელ ზედმეტად ამოწმებს ქართველი ერის პოლიტიკურ სიმწიფეს. მსოფლიომ სცნო ეს აქტი. 27 ქვეყანამ, მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს ჩათვლით, აღიარა დასცნო ახალი რესპუბლიკა და მისი უფლებები. მაგრამ, კომუნისტური რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღიდანვე მას მტრულად შეხვდა და არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა, რომ ახალგაზრდა სახელმწიფო დაემხო და იქ კვლავ გაბატონებულიყო. საბჭოთა რუსეთმაც იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მას მეგობრობისა და მოკავშირეობის ხელშეკრულებით შეეკრა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვეულებრივი თვალთ მაქცობა გამოდგა და 1921 წლის თებერვალში შემოგვისია თავის წითელი არმია, რომელმაც დაიპყრო ჩვენი ქვეყანა და რომლის მრისხანე ოკუპაცია დღესაც გრძელდება.

1921 წ. დაწყებული ბრძოლა კვლავ გრძელდება. ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლები, აჯანყებები და შეურიგებლობის დემონსტრაციები განუწყვეტელ ჯაჭვათ გვევლინება განვლილ 41წლის მანძილზე და მას მტერი განუწყვეტელად სისხლში აღრჩობს. ჩვენ აქ არ შეუდგებით იმ საშინელი ტანჯვაწამების ჩამოთვლას, რაც საქართველომ თავის სხეულზე განიცადა, ვიტყვით მხოლოდ, რომ მტერმა იოტის ოდნათაც ვერ შეასუსტა ქართველი ერის თავისუფლებისადმი მისწრაფება და მისი ეროვნული სახეობის შებღალვა

საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა მისი დიადი წარსული, კულტურული შემოქმედების მაღალი ნიმუშები და პოლიტიკური სიმწიფე აძლევს უფლებას ქართველმა ერმა თვით განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკურ სოციალური სტრუქტურა. ეს არის სრული დამოუკიდებლობის ფორმა რაც ქართველებს სურთ. ეს არ არის მიმართული არავის წინააღმდეგ, მაგრამ არც იმას შეიცავს, რომ ერთი უცხო ძალა მეორეთი შეიცვალოს. ჩვენ გვწამს, რომ თავისუფალი სამყარო შეიმცნობს ქართველი ხალხის ამ დამსახურებულ უფლებას და ამ გვარად განთავისუფლების დღეც გაგვითენდება. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ მხოლოდ იმედით უნდა ვიცხოვროთ და ვიცადოთ. ჩვენ უკვე შეერთებული შტატების მოქალაქეები ვართ და როგორც ამერიკელებმა კვლავ უნდაგანვაცხადოთ, რომ საქართველო და მის მსგავსად დაპყრობილი ქვეყნები უნდა იყვნენ თავისუფალი. შეერთებულ შტატებს არ შეუძლიან უყურადღბოდ დასტოვოს იმპრინციპების დარღვევა, რომელზედაც დაშენებულია მისი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა. ჩვენი მოვალეობაა აუხსნათ და განუმარტოდ ის საშიშროება, რომელიც ჩვენთვის უფრო ცხადი და ნათელია, ვიდრე აქ დაბადებული ამერიკელისათვის, რადგან აქ დაბადებული ამერიკელი იმდენად არ ის შეჩვეული დაშედულებული თავისუფლებას რომ ისენი ამას ღებულობენ, როგორც ღვთით ბოძებულ საჩუქარს და არა ცეცხლითა და მახვილით მისაღწევ მიზანს. ჩვენ საკუთარი გამოცდილებიდან ვიცით, თუ რას ნიშნავს თავისუფლების დაკარგვა, ამიტომ არც ერთი შემთხვევა არ უნდა გაუშვად, რათა იგივე იცოდნენ, ან მოვაგონოთ აქ დაბადებულ ამერიკელს.

რათა განვამტკიცოდ ჩვენი პოზიციები და მას მეგობრების დამომხრეების რიცხვი გაუმრავლოთ, საჭიროა თავისუფალ ქვეყნიერებ-

ახლო წარსულიდან.

(საქართველოს საკითხი სან რემოში. აპრილი, 1920 წ.)

აპრილის შუა რიცხვებში ქართული დელეგაციის თავმჯდომარე კ.ჩხეიძე მიიწვია რობერტ ვანსიტარტმა სათათბიროდ. ამავე დროისათვის მას მიწვეული :ყოლია აზერბეიჯანისა და სასომხეთის წარმომადგენლები. ვანსიტარტის ბინაზე შეგროვდნენ: ალი მარდან ბეგ ტოფჩიბაში (აზერბეიჯანი), ბოგოს ნუგარ და ავეტის აგარონიანი (სასომხეთი) და ქართველებიდან: კ. ჩხეიძე და ზ. ავალიშვილი. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროსი და პირადათ ლორდ კერზონის წარმომადგენელი კავკასიის რწმუნებულებს მიმართავს შემდეგნაირად: „მე ლონდონში მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ გამასწარით. დავალების შესასრულებლად ვიკისრე პარიზში ჩამოსვლა, რომ აქ კერძო გზით, მეგობრულად, მოვილაპარაკოდ ზოგიერთ საერთო საქმეებზე. ნება მომეცით როგორც თქვენთვის კეთილის მსურველს და თქვენი ქვეყნების კარგად მცოდნეს, ვიყო თქვენთან გულახდილი. უმაღლეს საბჭოში ბევრი ფიქრობს, რომ კავკასიის რესპუბლიკებს არავითარი მომავალი არა აქვთ, რადგან დღემდე ვერ შესძლეს ერთმანეთში საერთო პოზიციის მონახვა, სოლიდარული მუშაობა და ერთმანეთთან დავას უნდებიან. ბევრი რამ მართლაც ამართლებს ასეთ შეფასებას. მაგალითად ჩვენთვის ცნობილია, რომ ბათუმის საკითხში ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკა სრულიად სხვადასხვანაირად ფიქრობს. ბევრი სხვა სადაო საკითხებიც.“ ინგლისის რწმუნებული გადაჭრით მოითხოვდა კავკასიელებს შეთანხმებისათვის მიეღწიათ, თუ სურდათ ინგლისისაგან დახმარება მიეღოთ. თვით ინგლისის მთავრობაში ამ დროს რუსეთის მიმართ უკვე ორი მიმართულება იბრძოდა: ლოიდ ჯორჯი, რომელიც რუსეთის დანაწილების წინააღმდეგი იყო და ამიტომ ბალტიის ქვეყნებისა და კავკასიის დამოუკიდებლობას ეჭვის თვალით უყურებდა. უფრო იხრებოდა საბჭოთა ხელისუფლების ცნობისაკენ და 2). საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ კერზონი, რომელსაც კომუნიზმის საფრთხე კარგად ესმოდა და საბჭოთა იმპერიალიზმის შესაკვეცავად მომხრე იყო ბალტიის ქვეყნებს და კავკასიას დახმარება ალმოჩენოდა. კერზონის თანამშრომელი და მისი რწმუნებული ვანსიტარტი, ცხადია, დაინტერესებული იყო თავისი შეფის პოლიტიკის გამარჯვებით. ის ახდილად, არა დიპლომატიური ენით აფრთხილებდა კავკასიელებს: „ნუ თუ თქვენთვის ცხადი არ არის, რომ მაგალითად იარაღის და სამხედრო საჭურველის თქვენთვის მოწოდება დააპრკოლა თქვენმა ურთიერთ დავამ. იმ შიშით, რომ ეს იარალი ერთმანეთის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული, მისი გამოგზავნა შეჩერდა. პირიქით, თქვენი შეთანხმება დიდ ნაყოფს გამოიღებს. განსაკუთრებით ქართველებს მართებს დათმობა და ლიბერალიზმის მაგალითის ჩვენება, რადგან ყველაზე მეტს თქვენ იგებთ და სხ..“ ვანსიტარტი თხოულობდა უმაღლეს საბჭოში წარსადგენად, 20 აპრილამდე კავკასიელებს შეთანხმებისათვის მიეღწიათ. მისი ცნობით, ამიერკავკასიის საკითხი უმაღლეს საბჭოში 20 აპრილს გაირჩეოდა. ამ დროისათვის მას სურდა წარედგინა კავკასიელების მიერ ხელმოწერილი მიმართვა, რომ მათ შორის სადაო საკითხები მოგვარებულია და ისინი შეთანხმებით თხოულობონ უმაღლეს საბჭოს მფარველობას. კერზონის მომხრეებისათვის ეს ალბად საკმარისი საბუთი იქნებოდა, რომ კავკასიის საქმეებში ინგლისის აქტიურად ჩარევა გაემართლებინად.

კავკასიის წარმომადგნლებს მრავალი სადაო საკითხი ჰქონდათ, მაგრამ ამ შემთხვევაში უმთავრესი იყო ბათუმის ოლქის და თვით ქალაქის საკითხი. სომხების აზრით საქართველოსომხეთის საზღვარი უნდა ყოფილიყო მდ. ჭოროხი, რომლის მარცხენა ნაპირები: ართვინი, არდაგანი, და ლაზისტანი შევიდოდა სომხეთში. ბათუმის პორტის ერთი ნაწილიც უნდა მიეღოთ საკუთრებად და ახალი რკინის გზის ზონაც (ეს გზა უნდა გაშენებულიყო ყარსიდან ბათუმამდე, ზღვაზე გასასვლელად) სომხეთის სრული საკუთრება უნდა ყოფილიყო. (იხ. სომხეთის სახელით წარმოდგენილი გაბრიელ ეფენდი ნარადუნგიანის პროექტი) ამ პროექტს ქართვლები, რასაკვირველია ვერ მიიღებდნენ. შეთანხმება გაგძელდა. 20 აპრილს, როცა უმაღლეს საბჭოში ამიერკავკასიის და ბათუმის საკითხი ირჩეოდა, ვანსისტარტმა კავკასიელების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება ვერ მიიღო. ის კიდევ ერთხელ, უკანასკნელად ესწრება კავკასიელების თათბირს და ამბობს: „მე პირდაპირ გეტყვით, თუ კავკასიის რესპუბლიკების შეთანხმება არ იქნება ხელმოწერილი, ვიდრე ამას უმაღლესი საბჭო ელის შედეგების პასუხიმგებელი თქვენ იქნებით. შეთანხმება და მეგობრული მუშაობა სწორედ ეხლა გჭირდებათ ჩრდილოეთის საფრთხის წინაშე. უნდა იჩქაროდ, მერე ვინ იცის თქვენთვის როდის მოიცლის უმაღლესი საბჭო. მართალია მე არა მაქვს რწმუნება საკითხი პირადათ გადავწყვიტო, მაგრამ ვფიქრობ ჩემი უფროსების ნდობით ვსარგებლობ და მათთვის ჩემი აზრი უმნიშვნელო არ არის. თუ ეხლავე, აქვე ვერ მივაღწევთ, რასაც ვცდილობთ მივაღწიოდ, იძულებული ვიქნები ჩემი უძლურება ვაღიარო და ვითხოვო ამ საქმიდან განთავისუფლება. მე ხელს დავიბან და განზე გავდგები.“ რამოდენიმე დღის კამათისა და დავის შემდეგ ქართული დელგაცია იღებს ზ. ავალიშვილის კომპრომისულ ტექსტ: „სომხეთი სცნობს საქართველოს სუვერენიტეტს ბათუმზე და მის მიდამოებზე (ბათუმის ოლქის შემადგენელი ნაწილების და საზღვრების დაუსახელებლად) სომხები ამ ტექსტზე დასთანხმდნენ ერთი პირობით: შეთანხმების აქტში უნდა აღინიშნოს რომ ზღვაზე გასავალი რკინის გზა არის სომხეთის სრული საკუთრება, მაგრამ ქართული დელეგაციის თავმჯდომარე კ. ჩხეიძე წინაღუდგა სომხების მოთხოვნას და არ დათანხმდა, რომ შეთანხმებაში აღენიშნათ, რკინის გზა სომხეთის საკუთრებააო. ის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო შეთანხმების ტექსტში სომხების შესწორება შეეტანა.

აპრილის 24-ს ვანსისტარტი იწვევს საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის დელეგაციებს და აცხადებს: „მე ყველა ღონისძიება ვიხმარე, რომ თქვენ შორის შეთანხმება მიღწეულიყო, რათა უმაღლესი საბჭოსათვის დროულად გვეცნობებინა თქვენი მორიგება. ჩემმა მეგობრულმა რჩევამ არ გასჭრა და მე იძულებული გავხდი ამ საქმეზე ხელი ამეღო. ამჟამად მე იძულებული ვარ ლორდ კერზონის სახელით—და თქვენ კარგად იცით როგორი მეგობარია ის თქვენი ქვეყნების და რამდენი ღვაწლი მიუძღვის „ცნობის“ საქმეში—განვაცხადო: მისი რწმენით დაუყონებლივ უნდა ხელმოწერილ იქმნეს შეთანხმება, რომელიც სომხეთის სრულ საკუთრებათ სცნობს რკინის გზის ხაზს. თუ შეთანხმება ეხლა არ იქნება ხელმოწერილი, მომავალში ყველაფერი თქვენ თავს დააბრალედ. მე მივმართავ განსაკუთრებით ქართულ დელეგაციას. რასაც ეხლა გეუბნებით ეს არის ინგლისის მთავრობის აზრი და ვფიქრობ, რომ ესეთი იქნება უმაღლესი საბჭოს აზრიც. ეხლა მე თქვენ გტოვებთ. ყველაფერი დამოკიდებული იქნება თქვენგანვე.

ქართულმა დელეგაციამ, ცხადია ეს რჩევა არ მიიღო, კ. ჩხეიძე მტკიცედ ადგა თავის აზრს. შეთანხმება ვერ მოხერხდა. ვანსისტარტმა საჭირო საბუთი ვერ მიიღო და ამრიგად უქმად ჩაიარა კავკასიის საქმეებში ინგლისის ჩარევის მომხრეთა უკანასკნელმა ცდამ.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ ივლისის 8-ს, მიუნხენში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ეროვნულ პოლიტიკური მოღვაწე

ალექსანდრე კორძაია.

„ქართული აზრი“-ს რედაქცია უდიდეს თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის ქვრივს და მის მეგობრებს.

სანდრო კორძაია.

ოთხშაბათს 8 ივლისს მიუნხენში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი მებრძოლი და პოლიტიკური მოღვაწე ალექსანდრე (სანდრო) კორძაია. თუმცა უკვე დადგენილი იყო, თუ რა მძიმე სნეულებით იყო დაავადებული, მაგრამ სიკვდილი მაინც მოულოდნელი იყო და ყველამ მწვავედ იგრძნო ეს. ძნელი იყო შერიგება იმ აზრის, რომ ჩვენი სანდრო ალარ იქნებოდა ჩვენ შორის და სამუდამოთ დაგვცილდა. ველარ ლა მოისმენ მის ხმას ტელეფონში: „წაიკითხე? არ შეიძლება ამის უპასუხოდ დატოვება“——ხვალ კრებაზე უნდა წახვიდე იქ, უნდა სთქვა... არ შეიძლება კაცო, უნდა გავაგებინოთ უცხოელებს“!

სულ იმის ფიქრში იყო სად, როდის და როგორ გაისმას ხმა საქართველოსთვის. მოვიდოდა ხშირად, იტყოდა: კაცო ყრილობაა იქ, წადი გააკეთე მოხსენება... და გარწმუნებს, საათობით, რომ ეს უნდა გააკეთო. წასვლისას, მიუხედავათ იმისა, რომ არ ეთანხმებოდი, გეტყოდა— აბა ასთე როგორც შევთანხმდით წახვალ შენ... როგორლაც, უცნაურად მაინც გაიძულებდა, მაინც დაგითანხმებდა. ეს იყო მისი ადამიანური თვისება. მთელი არსებით ემსახურებოდა თავის ცხოვრების აზრს—ქართველი ერის დაცვას, მისი უფლებებისათვის ბრძოლას.

ის თავის სოც. დემ. პარტიის დიდი და თავდადებული პატრიოტი იყო, მაგრამ მთელი თავისი ბუნებით ქართველი ადამიანი იყო, მისი დადებითი თვისებებით და ნაკლით და ეს გხიბლავდა, მას უნარს ათვისებდა ადამიანური და ქართული ურთიერთობა პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან არ შეებლალა, არ დაეჩრდილა. რამდენჯერ მომსვლია მწარე შეჯახება, მაგრამ ის არასდროს შენდამი განწყობილებას არ შესცვლიდა; „კარგი ახლა კაცო, არ მოვსულვარ პოლიტიკურად სალაპარაკოდ ისთე მოვედი გემუსაიფო, თორე მერე შენ თვით დაგწყდება გული. ერთმანეთი უნდა გავიტანოთ, მეტი რა შეგვრჩენია“? და აი ეხლა ეს შვენი სანდრო სამუდამოთ მოგვცილდა, ის ამიერიდან ალარავის შეაწუხებს საქართველოსთვის, მისი ხალხისათვის, ალარ იტყვის გულნატკენი, დალონებული—„რას გვიშობიან ვის რა დაუშავეთ“? ეს სიყვარული ერისადმი, ეს წუხილი და დარდი თან წაიღო საფლავში, მაგრამ მასთან ის მტკიცე რწმენაც, რომ სიმართლე და სამართალი მაინც გაიმარჯვებს და ქართველი ერი კვლავ ალადგენს თავის თავისუფალ სახელმწიფოს.

განსვენებული ძველი და განათლებული ოჯახის შვილი იყო. მამა მისი არ იყო დიდი მემამულე, მაგრამ ბეგლარ კორძაია მეტად გავლენიანი კაცი იყო ქვემო იმერეთში და დედა მისი მიქელაძეს ასული ქართულად განათლებული ქალი. 1905-06 წ. რევოლუციაში განსვენებული, კიდევ სრულიად ახალგაზრდა იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრებს შემდეგ, დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი ხარკოვში და შემდეგ მუშაობდა, როგორც კონსულტანტი კოოპერატიულ ბანკში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების, მისი სახელმწიფოს აღდგენისას ის იყო ჯერ სენაკის მაზრის კომისარი და შემდეგ აირჩიეს ქ. ფოთის ქალაქის თავად. თავაზიანი, კეთილი ადამიანი იყო და მან ყველას სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. გამოცდილი ხალხი მოიწვია ქალაქის თვითმართველობაში, მათგან რჩევას, დარიგებას არ თაკილობდა. შემდეგ კი მძიმე წლები ემიგრაციისა. მძიმე მუშაობა, გაჭირვება. ხოლო მისი ენერგია არ დაკნინდა, მისი ნებისყოფა ვერაფერმა გასტეხა. პირადი მატერიალური უზრუნველყოფა ნაკლებათ აინტერესებდა, ის ქართული საქმისათვის ცხოვრობდა, მისთვის ილვწოდა, მოქმედებდა. უკანასკნელ ომის დამთავრების შემდეგ მიუნხენში მოხვდა. აქ ქართველებს თავი მოუყარა, კოლონია დააარსა და დიდ ხანს იყო მისი თავმჯდომარე. ყველას მფარველობდა, ეხმარებოდა. მეტად საფრთხო დრო იყო, დიდი ნაწილი ქართვლებისა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბერიას ჯალათები ნადირობდნენ მათზე. აი, განსვენებული თავგამოდებით იცავდა მათ, არ ერიდებოდა არც ყალბი მოწმობების შოვნას მათთვის, რომ ისენი უბედურებისაგან გადაერჩინა. ტყვეობაში ჩავარდნილ ქართველებს ის არის რომ პირველი აწვდის ხმას. შიმშილს, სიცივეს, ყველაფერს იტანს არ იზოგავს თავს. გაცივდა,ფილტვების ანთება გაუჩნდა, კინაღამ გადაყვა. ის ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ყოველ პირობებში უნდა ქართველს მოხმარებოდა, რაც არ უნდა ჩაედინა ამისთვის. ეს გამომდინარეობდა, როგორც მისი პატრიოტული შეგნებიდან, ისე მისი ეთიკიდან, როგორც იურისტი და ვექილი. ეს შეამჩნია ამერიკელ მოსამართლემაც და ამერიკული იუმორით შენიშნა: ბ-ნო კორძაია თქვენ იმ ქართველებსაც კარგათ იცნობთ, რომელნიც იმის შემდეგ დაიბადნენ, რაც თქვენ სამშობლო დასტოვედ, თქვნი რწმუნებით, ყოველი ქართველი პატიოსანია და ის არასდროს ცუდათ არ მოიქცევა. თუმცა ფაქტები სხვას მეტყველობენ, მე მაინც მინდა თქვნ დაგიჯეროთ,— და მართლაც მოსამართლე თითქოს იჯერებდა ამას, რასაც მეტყველობდა მისი მეტად ლმობიეერი და რბილი განაჩენები. თვით უცხოელ მოსამართლესაც ხიბლავდა, მის გულს ივებდა, პარაგრაფებს გვერდზე გადაადებინებდა. თვით თავისი სიკვდილით მან დაარწმუნა ქართველობა, თუ რამდენი მეგობარი შესძინა ქართულ ეროვნულ საქმეს. ამის დამადასტურებელი იყო ის მწუხარება, რომელიც მისმა სიკვდილმა უცხო საზოგადოებაში გამოიწვია და ის დიდი საზოგადოება, რომელც მის დასაფლავებას დაესწრო. უამრავი გვირგვინები, წერილები, დეპეშები, რაც უცხოორგანიზაციებმა დაწესებულებებმა და პირებმა და ყვლეა დამონებულ ერების ასოციაციებმა გამოგზავნეს.

საფლავი დიდებულად მორთული პილონებით შავ თალხებში. საქ-ლოს მთავრობის წევრთა კოლეგიის და ეროვნული საბჭოს სახელით სიტყვა სთქვა ბ-ნ რ. არსენიძემ, ქართველობის სახელით გერმანულ ენაზე ილაპარაკა ნიკო ნაკაშიძემ, რომელმაც დაახასიათა ის ეროვნული და პოლიტიკურ არე, საიდანაც წარმოიშვა განსვენებული; რა იყო მიზანი მისი ცხოვრების, რისთვის ილვწოდა, რისთვის იბრძოდა და იტანჯებოდა. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: ამერიკული კომიტეტის სახელით— ბ. დრეერმა, კავკასიელების სახელით ბ. ტოროსიანმა და გერმანულ ორგანიზაციების და სხვა და სხვა ერების წარმომადგენლებმა. ბავარიის შრომის და სოციალურ უზრუნველ ყოფის სამინისტროს სახელით სიტყვა სთქვა ბ-ნ დოკ. პროლერმა, თვით მინისტრმა კი გვირგვინი გამოგზავნა.

ერთგვარი ზნეობრივი კმაყოფილება ვიგრძენით, ღირსეულ ქართველს ღირსეულად სცენ პატივი და ეს ხომ მთელი ქართველობის პატივისცემა იყო. არ ვიცი მომავალი ისტორიკოსი დააფასებს უცხოეთში მომქმედ ქართველ მოღვაწეთ თუ არა, მაგრამ ერთი კი ცხადია, ასეთ კაცზე, როგორიც იყო განსვენებული უთქვავს ქართველ ხალხს: „აქაც კარგი კაცი იყავ იქ ნათელი დაგადგებაო“.

ნ. ქ—ლი

ას განუმარტოდ საქართველოს წარსული; ვწეროთ და გავაცნოდ მისი დიდი კონტრიბუცია, რომელიც ქართველმა ერმა კულტურის საერთო სალაროში შეიტანა, წარვადგინოთ და დავიცვათ ჩვენი ეროვნული უფლებები და გავასწოროთ უცხო პრესის მიერდაშვებული შეცდომები. ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა ვთქვად მართალი და ეს თავის ნაყოფს გამოიღებს.

საბჭოელები ხშირად ახერხებენ ჩვენი რიგების დარღვევას და ამით ჩვენს მიერ წარმოებულ ანტიკომუნისტური ბრძოლის შესუსტებას ცდილობენ. მათ ყველგანა ჰყავთ, და ცხადია ჩვენშიც, მათ სასარგებლოდ მომუშავე პროვოკატორები, რომლებიც ტყუილის გავრცელებით, ცილისწამებით და ქართველების ერთი მეორეზე გადაკიდებით არღვევენ ჩვენ რიგებს და ძირს უთხრიან ჩვენ საქმიანობას. საჭიროა დიდი სიფრთხილე, ენერგიული შებრძოლება ამგვარ დამარღვეველ მუშაობასთან და მას მტკიცე ერთობით და შეკავშირებით უნდა უპასუხოდ. უკანასკნელად კრემლმა ტურისტების მცირე ჯგუფს ნება დართო ინახულოს საბჭოთა კავშირი და „კულტურული გაცვლის“ პრინციპი მიიღო. ამგვარათ გაგვიჩნდა „საბჭოთა კავშირის ექსპერტების“ მრავალ რიცხოვანი ჯგუფი, რომლებიც ორიოდე კვირით საბჭოთა კავშირში ყოფნის, ან მოსკოვის, ან ერთ საღამოს „ბალეტის“ ნახვის შმდეგ ამტკიცებენ, რომ საბჭოეთს სერიოზული ნაკლი ვერ უპოვეს და იქ ყველაფერი რიგზეაო. აი აქ იწყება ჩვენი მაღალი მოვალეობა, რათა სიმართლე უთხრად თავისუფალ ქვეყნიერებას, რადგან ჩვენ განვლეთ კომუნისტური ჯოჯოხეთი, ვიცნობთ მის ნამდვილ სახეს, მის მუხანათურ ბუნებას და მის სისხლით გაუმაძღრობას. ეს სიმართლე უნდა დაუპირდაპიროთ საბჭოთა კავშირის ორ-კვირიან „სტუმარ-ექსპერტებს“ და ეს თავისუფლების მოყვარულ კაცობრიობას უნდა გავაცნოთ.

ჩვენი საზოგადოების წევრების უმრავლესობას, როგორც სხვა და სხვა ორგანიზაციის წევრებს, წარსულში აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული ჩვენს მიერ წარმოებულ ბრძოლებში. ისენი იცავდნენ იმ პრინციპებს, რომლებიც ჩვენთვის ძვირფასია. მათ ამ ბრძოლებში გამოიჩინეს მაღალ რაინდული სულის სიმტკიცე, მიძღვნილობის და თავგანწირვის დიდი უნარი, გამბედაობა და კეთილშობილება, მაგრამ უნდა ვაღიაროდ, რომ საჭიროა ჩვენი ბრძოლის მეთოდების შეცვლა, მისი ახალ გარემოებასთან და პირობებთან შეფარდება. ჩვენ უნდა ავითვისოდ ახალი როლი, რათა თავისუფალ დემოკრატიულ სამყაროს ინტერესებში ჩვენი საკუთარი, ეროვნული ინტერესები ჩავაქსოვოდ და ჩვენი განთავისუფლების საკითხი თავისუფალი ქვეყნიერების ბედს უნდა დაუკავშიროთ.

თუ ჩვენ ვიქნებით გაერთიანებული და შემჭიდროვებულნი, თუ ფხიზლად ვიქნებით სადარაჯოზე, ეს მოსახერხებელია. ამით ჩვენ მოვიგებთ ბრძოლის დიდ ნაწილს და სწორედ ეს არის საბოლოო გამარჯვებისკენ მიმავალი გზა.